საქართველოს მთავრობის

დადგენილება №110

2022 წლის 2 მარტი

ქ. თბილისი

„აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №84 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №84 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/02/2020, 300160070.10.003.021793) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის V და VI დანართებით გათვალისწინებული პროდუქტის (გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განთავსებისათვის იმპორტიორი ვალდებულია, სსიპ – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) ვებგვერდის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურსა და სააგენტოს ელექტრონული ფორმით წარუდგინოს „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“, რომლის ფორმა, შევსებისა და დადასტურების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (შემდგომში – ერთობლივი ბრძანება).“;

ბ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. ამ მუხლით გათვალისწინებული „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ წარდგენა სავალდებულო არ არის შემდეგ შემთხვევებში:

ა) ფიზიკური პირის მიერ:

ა.ა) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ 3000 ლარამდე ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის, აირად საწვავზე მომუშავე იმ მოწყობილობის იმპორტისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ა.ბ) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში, 3 000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის, აირად საწვავზე მომუშავე იმ მოწყობილობის იმპორტისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ა.გ) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) აირად საწვავზე მომუშავე იმ მოწყობილობის იმპორტისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ა.დ) უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ 5 000 ლარამდე ღირებულების აირად საწვავზე მომუშავე იმ მოწყობილობის იმპორტისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ბ) აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტისას, სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით;

გ) აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობის იმპორტისას, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სტატუსის მინიჭების შემთხვევაში);

დ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლის შესაბამისად დაბრუნებული საქონლის იმპორტისას.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის V და VI დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი V

აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების ნუსხა №1

№	კატეგორია	საქონლის დასახელება	სასაქონლო კოდი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ -ის) მიხედვით
1	საკვების მოსამზადებელი მოწყობილობები	აირზე მომუშავე გაზქურები(გრილების ჩათვლით) ღია სივრცეში გამოსაყენებლად	7321 11
		აირზე მომუშავე ბარბექიუს მოწყობილობები	7321 11
		აირზე მომუშავე სანთურები ღია სივრცეში გამოსაყენებლად	7321 11
		აირზე მომუშავე საყოფაცხოვრებო დანიშნულების გაზქურა, ზედაპირები (კომბინირებულების ჩათვლით)	7321 11
			8516 60 100 00 - კომბინირებული 8516 60 500 00 - კომბინირებული
		აირზე მომუშავე საყოფაცხოვრებო დანიშნულების გაზქურა, ზედაპირები (კომბინირებულების ჩათვლით) და გრილი	7321 11
			8516 60 800 00 8516 60 900 00
		არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების აირზე	

		მომუშავე საკვების მოსამზადებელი მოწყობილობა (გაზქურები, ღუმელები და აშ.)	8419 81 800 00
		აირზე მომუშავე პორტატული სანთურები	7321 11
2.	**აირზე მომუშავე გამათბობლები**	არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების აირზე მომუშავე ჭერზე დასაკიდებელი მილისებრი გამათბობლები	7322 90 000 09
		აირზე მომუშავე საყოფაცხოვრებო დანიშნულების გამათბობლები	7321 81 000 00
		აირზე მომუშავე დეკორატიული ეფექტის მქონე მოწყობილობები	7321 81 000 00
		აირზე მომუშავე პატიოს გამათბობლები	7321 81 000 00
		არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების აირზე მომუშავე გამათბობლები	7322 90 000 09
		აირზე მომუშავე გამათბობელი მოწყობილობები ავტომობილებისთვის და ნავებისთვის	7322 90 000 09
		არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების მრავალსანთურიანი აირზე მომუშავე ჭერზე დასამაგრებელი მილისებრი გათბობის სისტემები	7322 90 000 09
3.	**აირზე მომუშავე ცენტრალური ბოილერები**	საყოფაცხოვრებო დანიშნულების აირზე მომუშავე ცენტრალური ბოილერები	8403 10 900 00
		არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების აირზე მომუშავე ცენტრალური ბოილერები	8403 10 900 00
4.	**აირზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი**	აირზე მომუშავე წყლის მომენტალური გამათბობლები	8419 11 000 00
		აირზე მომუშავე საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის გამაცხელებელი ქვაბი/რეზერვუარი	8419 19 000 00

		ნავებსა და მანქანებში განთავსებული აირზე მომუშავე წყლის გამათბობლები	8419 11 000 00
5.	**სხვა**	ავტომატური სავენტილაციო სანთურები აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობისთვის	8416 20 100 00
		აირზე მომუშავე საშრობი მანქანები	8421 19 700 00

დანართი VI

აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების ნუსხა №2

№	კატეგორიები	დასახელება
1.	**სხვა**	აირზე მომუშავე მაცივარი
		აირზე მომუშავე სარეცხის მანქანები
		აირზე მომუშავე კონდიციონერები
		აირზე მომუშავე განათებები